ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3642626

ნომერი: AR1551177

თარიღი : 20.10.2017

გაცემის თარიღი : 27.10.2017

გაცნობის თარიღი : 27.10.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რაფაელ აგლაძის ქუჩა N49 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შორენა ლაცაბიძე პ/ნ 35001040075
- რუსთავი XIX მ/რ კორ. 8 ბ. 103

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

ვინაიდან არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათებიდან დგინდება რომ, სამსახურის მიერ 20.10.2015 წლის №2250314 გადაწყვეტილებით შეთანხმებული სამუშაოები ნაწარმოებია დარღვევით (5 მ-მდე სიგრძის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის მქონე შენობა- ნაგებობა მოწყობილია საყრდენების გარეშე), საჭიროა საკითხი დააყენოთ 20.10.2015 წლის №2250314 გადაწყვეტილების კორექტირების კუთხით, სადაც განსახორციელებელი სამუშაოები დააკმაყოფილებს პირველი კლასის მოთხოვნებს.

ამასთან საკადასტრო რუკის მიხედვით ვერ დგინდება #1/1 შენობა/ნაგებობის კანონიერების საკითხი, გაითვალისწინეთ, რომ სამსახური უკანონო მშენებლობის შემდგომ განვითარებაზე ნებართვას ვერ გასცემს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს აღნიშნული განცხადება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.